პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 183 (11187) | კვირა, 10 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ მშენებლის საკავშირო დღესასწაულს. საბჭოთა მშენებლები თავიანთ ზეიმს გმირულ შემოქმედებითს შრომაში მოპოვებული კიდევ ერთი გრანდიოზული გამარჯვებით შეხვდნენ — საექსპლოატაციოდ გადასცეს კუიბიშევის უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში.

დიდება სახელოვან საბჭოთა მშენებლებს!

საბჭოთა მშენებლების დღესასწაული

ყველაფერში, რაც ჩვენს ქვეყანაში შექმნილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, თავისი შრომა აქვთ ჩაქსოვილი საბჭოთა მშენებლებს — ამ ძვირფასი პროფესიის ადამიანებს.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა მშენებლების დღესასწაულს. მშენებლის პროფესია საბჭოთა კავშირში ყველაზე მასობრივია. ყოველი ათი მუშამოსამსახურიდან ორი ან მშენებლობებზე მუშაობს ან საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში.

საბჭოთა მშენებლები თავიანთ დღესასწაულს სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა საბჭოთა კავშირში შესრულებულია 101 პროცენტით. საიჯარადრო სამუშაოთა მოცულობა 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდებულია 13 პროცენტით, ხოლო მათი თვითღირებულება შემცირებულია 1,5 პროცენტით. საბჭოთა მშენებლები თავიანთ ზეიმს გმირულ შემოქმედებითს შრომაში მოპოვებული კიდევ ერთი გრანდიოზული გამარჯვებით შეხვდნენ — საექსპლოატაციოდ გადასცეს კუიბიშევის უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საბინაო მშენებლობაში. ეს წარმატებანი ნათლად მოწმობენ, რომ საბჭოთა მშენებლები განუხრელად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებას „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“, რომლითაც დასახულია უახლოეს 10-12 წელიწადში მთლიანად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მოთხოვნილება ბინებზე.

მშენებლის საკავშირო დღეს გარკვეული წარმატებებით ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის მშენებლები. 6 თვეში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 112 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 27 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის, მთავართბილისმშენის, საქენერგომშენის კოლექტივებმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა.

მშენებელთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული, რაც მათ ავალებს მთელი ყურადღება წარმართონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისაკენ. მშენებლობებზე ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, მსხვილი პანელები, ბლოკები, მკვეთრად უნდა ავამაღლოთ სამშენებლო მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული სამშენებლო ინდუსტრიის, საწარმოთა კოლექტივების გამართულ მუშაობაზე. საჭიროა მკვეთრად გადიდდეს ასაწყობ რკინაბეტონის ნაკეთობათა გამოშვება, გაფართოვდეს მათი ნომენკლატურა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მშენებლობის ვადების შემჭიდროების, მშენებლობის გაიაფების საქმეში კარგ ეფექტს იძლევა საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლების, კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების მშენებლობა ტიპური პროექტებით. საბინაო მშენებლობა უნდა ვაწარმოოთ მთელ მასივებად, კვარტალებად, რაც საშუალებას მოგვცემს ფართოდ დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, რაციონალურად გამოვიყენოთ საშენი მასალები და სამშენებლო მექანიზმები.

მშენებლობის საქმეში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული პროგრამის განხორციელება მშენებელთა საპატიო ვალია, მათი დიდების საქმეა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. ჩვენი სამშენებლო მრეწველობა აღჭურვილია საჭირო სამშენებლო მექანიზმებით, სწრაფად ვითარდება საშენ მასალათა მრეწველობა, მწყობრში დგება ახალი ქარხნები, პოლიგონები, რომლებიც მშენებლობებს სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდიან ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, აგურისა და წიდაბეტონის ბლოკებს, ცემენტს, ხე-ტყის მასალას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული საბჭოთა მშენებლები ენერგიულად იბრძოლებენ ამ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მშენებლობის ფრონტებზე ახალ შესანიშნავ წარმატებათა მოპოვებისათვის.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლოატაციის მუშაკები, რომლებიც პირველი აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემის მომენტიდან მუშაობენ (მარცხნიდან): სადგურის უფროსი ინჟინერი ი. ბორისანოვი, მორიგე მემანქანე ვ. ტერეხინი, მორიგე ზეინკალი ე. პოტიტნიკოვი, სადგურის მორიგე ინჟინერის თანაშემწე ს. რეპკევიჩი, მორიგე მემანქანე ვ. კუბნეცოვი, მორიგე მექანიკოსი ვ. ჟარინოვი, სადგურის ცენტრალური სამართავი პულტის მორიგე ზ. ვალციფერი, მორიგე მემანქანე გ. ბრედნევი, მორიგე ზეინკალი ს. ვედენინი, უფროსი მორიგე ელექტრომონტიორი ა. შიბანოვი, ცვლის უფროსი ს. რაკოვსკი, ქვესადგურის მორიგე ინჟინერი ვ. უსტინოვი, მორიგე მემანქანე ვ. სმირნოვი, ქვესადგურის მორიგე ტექნიკოსი ვ. ჟიგუნოვი.
ფოტო ა. ბრიანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

უდიდესი ჰიდროელექტროსადგური მსოფლიოში

„კუიბიშევჰიდრომშენის“ მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მოკლე ვადაში ააგეს მსოფლიოში უდიდესი, 2.100 ათასი კილოვატი სიმძლავრის კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური.

როცა 1950 წელს მშენებლობა დაიწყო, კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო მოედნები სამრეწველო ცენტრებსა და რკინიგზის ლიანდაგებს დაშორებული იყო თითქმის 100 კილომეტრზე, ამასთან მათ თიშავდა ვოლგა. შესასრულებელი კი იყო უდიდესი მოცულობის შრომატევადი სამუშაოები: 190 მილიონი კუბური მეტრი მიწის, შვიდ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები და დასამონტაჟებელი იყო 100 ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქციები. ყოველივე ეს მოითხოვდა დიდძალი ცემენტის, ლითონის, ხე-ტყისა და სხვა საშენი მასალების მოზიდვას, მძლავრი საწარმოების ორგანიზაციას და სამუშაოთა მექანიზაციისათვის საიმედო ბაზის შექმნას.

ოლქის ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ მშენებლებს გულმხურვალე მიღება და დახმარება გაუწიეს. ამის მეოხებით უკვე 1951 წლის შუა თვეებში გაიხსნა სამუშაო მოძრაობა რკინიგზის შტოზე, ხოლო ამავე წლის დასასრულისათვის სამშენებლო მოედნებმა ელექტროენერგია მიიღეს. ასე, მოკლე ვადაში გადაწყდა პირველი ამოცანა — გაიხსნა გზა მოწყობილობისა და მასალების მოსაზიდავად და შეიქმნა ელექტროენერგიის ხაიმედო წყარო. მალე ურალის მანქანათმშენებელი ქარხნიდან მოვიდნენ ექსკავატორები, ხტალინგრადიდან მიწისსათხრელი მანქანები და მუშები ერთბაშად შეუდგნენ ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულის ამოღებას, ზღუდარის აგებას, რომელიც ქვაბულს იცავდა. ამის შედეგად მშენებლობის დაწყებიდანვე შეიქმნა შესაძლებლობა გამოგვეყენებინა სამუშაოთა მიზანსწრაფული შეთავსებული წარმოების პრინციპი, რომელიც საქმის ფართო ფრონტით წაყვანის საშუალებას იძლევა.

ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ქვაბულების გათხრის მომენტისათვის დამთავრებული იყო ქვისსამსხვრევი, ბეტონისა და საარმატურო-საშემდუღებლო ქარხნების მშენებლობა. მთელი ეს უზარმაზარი მეურნეობა გათვალისწინებული იყო 20 ათასამდე კუბური მეტრი ბეტონის ნარევის დასამზადებლად დღეღამეში.

ამ საქმეში კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს დახმარება გაუწიეს სპეციალიზებულმა სამონტაჟო ორგანიზაციებმა და ბევრმა სამრეწველო საწარმომ, რომლებმაც უზრუნველყვეს მოწყობილობის კომპლექსური მიწოდება. მოწყობილობის ჩქაროსნული მონტაჟის გამოცდილებამ, რაც შეხამებული იყო საწარმოო ბაზის მშენებლობასთან, კარგი შედეგები მოიტანა. 1953 წლის შუა თვეებიდან ბეტონის სამუშაოთა შესრულებამ თვეში 80 ათას კუბურ მეტრს მიაღწია. 1954 წელს ეს ციფრი 200-250 ათას კუბურ მეტრამდე გადიდდა, ხოლო 1955 წელს — 300-389 ათას კუბურ მეტრამდე თვეში.

პასუხსაგები გამოცდა ჩაბარებულ იქნა 1956 და 1957 წლების საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდში. წყალმეტობის გაშვების წინ საჭირო იყო მოკლე ვადებში შესრულებულიყო დიდი მოცულობის შრომატევადი სამუშაოები. გაზაფხულის წყალმეტობის წარმატებით გაშვება მშენებლობის პროცესში მრავალათასოვანი კოლექტივის ტექნიკურ სიმწიფეს ადასტურებს.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის აგება არის უახლესი საშენი მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის წარმატებით ათვისების, ახალი საშენი მასალებისა და სამუშაოთა წარმოების ახალი ხერხების გამოყენების მაგალითი, რომლებიც განხორციელებული იყო მომწოდებელი ქარხნების, საპროექტო და სამეცნიერო ინსტიტუტების უაღრესად აქტიური მონაწილეობით.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამოცდილება მოწმობს საბჭოთა სამშენებლო ინდუსტრიის დიდ მიღწევებს, ჰიდრომშენებელთა კადრების მაღალ ოსტატობას, ტექნიკურ სიმწიფესა და მხურვალე პატრიოტიზმს.

ნ. რაზინი,
„კუიბიშევჰიდრომშენის“ მთავარი ინჟინერი, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი.

კუიბიშევჰიდრომშენი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

მდინარე ვოლგაზე კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დავალების წარმატებით შესრულებისა და სამამულო ჰიდროენერგომშენებლობის განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **ლენინის** ორდენით დაჯილდოვა სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს **კუიბიშევჰიდრომშენი.**

მშენებლებსა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ

მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 143 მუშაკს, მათ შორის:

1. **გიორგაძეს** ნესტორ ასალოს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველს.

2. **ობოლაძეს** ირაკლი ონისიმეს-ძეს — სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ხრამჰესი-2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

მშენებლობის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ყველაზე გამოჩენილი მშენებლების, საშენ მასალათა მრეწველობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა:

ლენინის ორდენით

1. **ბალანჩივაძე** ნინო ფილიპეს ასული — მთავართბილისმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

2. **ბლიაძე** ოთარ ილიას-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

3. **გოგოლიძე** შალვა ამბროსის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

4. **ჯეირანოვი** ქრისტეფორე მარკოზის-ძე — სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის ხრამჰესი-2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

5. **კავთიაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — რუსთავის ცემენტის ქარხნის გამომწვავი საამქროს ზეინკალი.

6. **კლოჩკო** ვლადიმერ პეტრეს-ძე — რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს „კაველექტრომონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

7. **კოტიაშვილი** ვასილ ნიკოლოზის-ძე — სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელების მემანქანე.

8. **ქურციკიძე** გალაქტიონ ფირნაოზის-ძე — ჭიათურმანგანუმმშენის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს ხელოვნური.

9. **ლორთქიფანიძე** სიმონ სევერიანეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

10. **მაისურაძე** ვლადიმერ ვასილის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის 1-ლი სამშენებლო უბნის მუშებუტონე.

11. **მზეიძე** ალექსანდრე ამბაკოს-ძე — საბურთალოს აგურის ქარხნის უფროსი გამომწველი.

12. **ხვანაძე** ოთარ პლატონის-ძე — საქართველოს შახტმშენის ტრესტის ტყიბულის შახტმშენის სამშენებლო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა 8.400 ყველაზე გამოჩენილი მშენებელი, საშენ მასალათა მრეწველობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 976 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2.380, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 3.223, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 824 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის — 997 კაცი.

143 მშენებელსა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშას მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

• • •

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის და კუიბიშევჰეს-მოსკოვის ელექტროგადამცემი ხაზის აგებასა და ამუშავებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა კუიბიშევჰიდრომშენის, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების, სამრეწველო საწარმოების, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების 5.080 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი კუიბიშევის ელექტროსადგურისა და კუიბიშევჰეს-მოსკოვის ელექტროგადამცემი ხაზის აგებაში.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 250 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 703, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 35, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 1.534, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 126, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 1.290 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 1.142 კაცი.

წარმოების 24 მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საქმეში განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებისათვის, ელექტროშედუღების ახალი პროგრესული ხერხების შემუშავებასა და დანერგვაში შეტანილი დიდი წვლილისათვის სოციალისტური შრომის გმირი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ელექტროშემდუღებელი ამხ. ალექსანდრეს-ძე ულესოვი დაჯილდოებულია მეორე ოქროს მედლით „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობის მოწვევის შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება მოწვეულ იქნას სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა 1958 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში შემდეგი დღის წესრიგით:

1. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენება.

2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

3. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის შესახებ (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოხსენება).

4. ცვლილებანი სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა წესდებაში.

5. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.



კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის შენობის საერთო ხედი ქვემო ბიეფის მხრიდან. წინა პლანზე — კუიბიშევ-ურალის მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენის ფუძე.

ფოტო ა. ბრიანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ვაშენოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად, ფართო მასშტაბებით

მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს მოწინავე მშენებელთა ჯგუფი (მარცხნიდან): ა. სუმბათაშვილი, ხ. ავდალიანი, ვ. კანდელაკი, ხ. არაბოვი, ვ. ბლოხინი, გ. კოლესნიჩენკო და პ. ქავთარაძე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

★ ★

სიახლეები რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში

ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობა თანდათან უფრო ფართოდ ეკიდებს ფეხს თბილისში. ეს იწვევს რკინაბეტონის კონსტრუქციებზე მოთხოვნილების ზრდას. თბილისელ მშენებლებს კი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით და ინდუსტრიული წესით დამზადებული სხვა საშენი დეტალებით ამარაგებს თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, რომელსაც ხაუკეთესოდ გამართული რამდენიმე პოლიგონი აქვს.

გასაგებია, რომ თბილისში მშენებლობის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ქარხნის კოლექტივის გამართულ მუშაობაზე. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ქარხნის კოლექტივმა დაამზადა და მშენებლებს გადასცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ორჯერ მეტი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — მშენებლის დღეს ამ ქარხნის კოლექტივი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევით შეხვდა — განვლილ 7 თვეში გეგმის გადამეტებით დაამზადა და გამოუშვა 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის საკმარისი რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები.

მშენებლის დღისათვის ხაუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მებეტონეების, მეარმატურეებისა და მტვირთავების ბრიგადებმა, რომლებსაც დ. ხიმონოვი, ო. კურტანიძე, ი. ბიჭინოვი, ხ. მარდოიანი, გ. ხუბაევი, ე. ოგანეზოვი, შ. ჩოხელი და გ. სულაძე ხელმძღვანელობენ.

ქარხანაში წარმატებით აითვისეს ბეტონის ნივნივების გამოშვება, რითაც მშენებლებს საშუალება მიეცათ თვითეული ოთხსართულიანი სახლის აგებაზე 14 კუბმეტრი ხეტყის მასალის ეკონომია გაეწიათ.

მნიშვნელოვან ხაწარმოო ხიაბლეს წარმოადგენს ხაარმატურე ლითონის ღეროს ნარჩენთა გამოყენება. ეს ნარჩენები წინათ დანაკარგად ითვლებოდა, ჯართში მიდიოდა, ახლა კი ხაარმატურე ლითონის არც ერთი ნაჭერი არ იკარგება. სპეციალური შემდუღებელი ელექტროაპარატით ღეროთა ნაჭრებს ამთელებენ და კვლავ იყენებენ.

მნიშვნელოვანი წინადადების ავტორია ქარხნის ინჟინერი ი. ჩომახიძე. მისი წინადადება შეეხებოდა რკინაბეტონის კონსტრუქციათა ხაშრომი კამერების გამტარუნარიანობის გადიდებას, კამერების მოცულობის გაფართოებას. წინადადება მოწონებულ იქნა, დაინერგა და ხაუკეთესო ეფექტი მოგვცა. გამოანგარიშებულია, რომ ამ წინადადების დანერგვის შედეგად ქარხანა წელს საწარმოო გეგმით გათვალისწინებულზე 4.200 კუბმეტრით მეტ ხამშენებლო კონსტრუქციებსა და დეტალებს გამოუშვებს.

ბეტონდამამზადებელი კვანძის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ძვირფასი ხიახლე შეიტანა ინჟინერმა ე. მაღრაძემ.

ქარხანაში გრძელდება მუშაობა რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვების გადიდებისათვის. აშენებენ ზიდა პოლიგონს, რომელიც მეოთხე კვარტალში გადაეცემა ხაექსპლოატაციოდ. ამით საწარმო დამატებით 500-600 კუბმეტრ რკინაბეტონის კონსტრუქციებს გამოუშვებს.

მ. თევარაძე.

★ ★

მოწინავე მშენებლები მოგვითხრობენ

ყველა ბრიგადა კომპლექსური უნდა იყოს

შ. ნადირაძე

(მეარმატურე)

მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტში მეარმატურედ. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ახლა, როცა კვალიფიციურ მშენებლებზე ესოდენ დიდი მოთხოვნილებაა, საჭიროა ყოველი მშენებელი ფლობდეს სამ და ოთხს, ან ორ სამშენებლო პროფესიას მაინც. მაგალითად, მეარმატურეს უნდა შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ელექტრომონტიორი ან მებეტონე, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში არმატურის ჩაწყობაზე უფრო გადაუდებლად საჭიროა ბეტონის ჩასხმა ან ელექტროგაყვანილობის მოწყობა. რამდენიმე პროფესიის დაუფლება ხელსაყრელია მშენებლისათვის მისი გამომუშავების თვალსაზრისით, ხელსაყრელია მშენებლობისთვისაც, მისი დაჩქარების თვალსაზრისით.

ახლა ჩვენი კოლექტივი თბილისის პირველი სამგზავრო საბაგირო-საჰაერო გზის მონტაჟზე მუშაობს. მეარმატურეები შევდივართ კომპლექსურ ბრიგადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ბრიგადაში თითქმის ყველა სამშენებლო პროფესიის წარმომადგენლები არიან.

აუცილებლად საჭიროა მშენებლობებზე ყველგან შეექმნათ კომპლექსური ბრიგადები. ეს დიდად შეუწყობს ხელს მუშახელის გაცდენის აღკვეთას.

იუბილარი ჯედაქალაქის დასამშვენებლად

ი. ლალიაშვილი

(ხუროთა ბრიგადირი)

ხუროთა ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დიდი ხალისით და ენთუზიაზმით მუშაობს ელბაქიძის დალმართის რუსთაველის პროსპექტთან დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალის მშენებლობაზე. ჩვენმა ბრიგადამ მშენებლის დღისათვის აკისრა ესტაკადაზე ბეტონის სამუშაოების წარმატებისათვის უზრუნველეყო ფიცრულებისა და ქარგილების წინმსწრები ტემპით მოწყობა. ეს ვალდებულება ბრიგადამ პირნათლად გაანაღდა და შექმნა იმის პირობები, რომ ესტაკადა დათქმული ვადისათვის მზად იქნეს.

ჩვენი ხუროები ერთ სურვილს გამოთქვამენ: როდესაც ქალაქში რაიმე დიდი საინჟინრო ნაგებობა შენდება, ცუდი არ იქნება, თუ ამ ნაგებობას გაუკეთებენ დაფას, სადაც აღნიშნული იქნება მისი მშენებლების ვინაობა. ეს დიდად დაინტერესებს მშენებლებს, ამაღლებს მათს პასუხისმგებლობას სამშენებლო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ჩემი საამაყო პროფესია

ა. ჟონჟოლაძე

(მებეტონე)

მშენებელის პროფესია, მებეტონე იქნება ის, ხურო, კალატოზი თუ მეარმატურე, საამაყო პროფესიად მიმაჩნია. 18 წელიწადია მებეტონედ ვმუშაობ.

ჩემი ბრიგადის წევრებს არჩეული პროფესიით სიამაყის სულისკვეთებით ვზრდი და უნდა ითქვას — არცთუ უშედეგოდ. ი. ცხვედაძე, რ. გაგოევი, რომლებიც ჩვენს ბრიგადაში კვალიფიციურ მებეტონეებად აღიზარდნენ, ახლა მშენებლის პროფესიას სხვა პროფესიაზე როდი გაცვლიან.

მშენებელის დღეს ჩვენი ბრიგადა, რომელიც ახლა რიყეზე, ბარათაშვილის ხიდის მახლობლად მარცხენა სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის ამოყვანაზე მუშაობს, კარგი მაჩვენებლებით ხვდება. მებეტონეებმა აქ საქმე ისე წარვმართეთ, რომ საყრდენი კედლის მშენებლობის დათქმული ვადისათვის დამთავრება და სანაპირო ქუჩის ამ უბნის გამზადება თბილისის 1.500 წლისთავზე საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის გახსნისათვის უზრუნველყოფილად უნდა მივიჩნიოთ.

ფართო გზა ინდუსტრიულ მეთოდებს

პ. პეტრიაშვილი,

ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მმართველის მოადგილე.

1954 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ“, რამაც საქარხნო წესით დამზადებული ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების გზით დასაბამი მისცა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა განხორციელების საქმეში ერთგვარ წარმატებას მიაღწია ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა. 1954-1958 წლებში ტრესტის საწარმოო ბაზებს გფფართოებისათვის, მისი ახალი ტექნიკით აღჭურვისათვის დაბანდებულია 36,6 მილიონი მანეთი.

მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნამ ტრესტს საშუალება მისცა მკვეთრად გაეზარდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ელემენტების, ახალი ეფექტური მასალების გამოშვება. თუ 1954 წელს რკინაბეტონის ნაკეთობათა საწარმოებმა დაამზადეს 11.482 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი და ერთი მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გამოყენებული იყო 34 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი, 1957 წელს გამოშვებულ იქნა 43.251 კუბმეტრი და ერთი მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გამოყენებული იქნა 162 კუბმეტრი, ხოლო ბინათმშენებლობაში 260 კუბმეტრზე მეტი ასაწყობი რკინაბეტონი.

რკინაბეტონის წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვით, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებით ტრესტმა არა მარტო გაადიდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვება, არამედ მკვეთრად გაუმჯობესა აგრეთვე ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები, ამასთან მიაღწია ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ელემენტების თვითღირებულების შემცირებას 28,2 პროცენტით.

მშენებლობებზე გარდა ჩვეულებრივი რკინაბეტონისა ფართო გამოყენება ჰპოვა წინასწარ დაძაბული არმირებული რკინაბეტონის ისეთმა ნაკეთობებმა, როგორიც არის სართულთაშორისი და სახურავის გადახურვის მრავალსიკარიელიანი კონსტრუქციები, წნევგამძლე რკინაბეტონის მილები. საბჭოთა კავშირში პირველად ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატში ამას წინათ აითვისეს რკინაბეტონის მილების გამოშვება, რომლებიც ათი ატმოსფეროს წნევას უძლებენ. ამ მილების დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება მნიშვნელოვანი მოგლენა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ასეთი მილების სერიული გამოშვების შემდეგ დიდი რაოდენობით დაიზოგება ლითონის მილები.

ტრესტის საწარმოების მიერ გამოშვებულ რკინაბეტონის ნაკეთობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თვითდამტენრებელი კომბაინით დამზადებული წინასწარ არმირებული ფილფენილები. ისინი მეტად ეკონომიურია როგორც კონსტრუქციულად, ისე დამზადების თვალსაზრისით. ტრესტის მიერ გამოყენებულ საკედლე მასალებში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს საქარხნო წესით დამზადებულ მსხვილი აგურისა და წიდაბეტონის ბლოკებს.

1955 წელს ტრესტის სამშენებლო მოედნებზე მსხვილ ბლოკებს არ ხმარობდნენ, 1957 წელს კი დამხმარე საწარმოებში და მათ შორის აგურის ქარხნებში დამზადებულ იქნა 14 ათასი კუბმეტრი მსხვილი ბლოკები. ამჟამად ბინათმშენებლობაში ძირითადად მსხვილი ბლოკებს ხმარობენ. წიდაბეტონის მსხვილი ბლოკები მზადდება ორმხრივ შელესილი ატოკლავური დამუშავების წესით, რაც საშუალებას იძლევა სამშენებლო მოედნებზე არ ვაწარმოოთ ისეთი ძვირი და შრომატევადი სამუშაოები, როგორიც არის შენობის შიგნითა და გარეთა შელესვა.

ბეტონის შემადგენლობა მისალიგი ტრესტი ფართოდ იყენებს რუსთავის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ნარჩენებს: ბრძმედის დამარცვლილ წიდას, თბოელექტროცენტრალის ნაცარს, დოლომიტის სამქროს ნარჩენ კირს, აგრეთვე მინქფას. პირველად საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის მეტალურგმშენის კოლექტივმა აითვისა აღნიშნული მასალებიდან სველი დაფქვის წესით ადგილობრივი შემაკავშირებლის მიღება. ამ დანადგარის წარმადობა 1,5-ჯერ მეტია მშრალი დაფქვის იმ დანადგარის წარმადობასთან შედარებით, რომელიც აგრეთვე ჩვენი ტრესტის დამხმარე საწარმოში მუშაობს. სველი დაფქვის წესით მიღებული პროდუქტი გაცილებით უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე მშრალი დაფქვის პროდუქტი.

ახალი ეფექტური საშენი მასალების წარმოება ათვისებულია ტრესტის სალაკატურ ქარხნებში. აგურის ქარხნები აღჭურვა ახალი ტექნიკით, გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგია, რის შედეგადაც 1958 წელს ერთ კუბმეტრ გამოსაწვავ არზე აგურის ართვეა გაიზარდა 33 პროცენტით, თბილისისა და ქსნის აგურის ქარხნებში მოწყობილია აგურის მსხვილი ბლოკების წარმოება. ათვისებულია და მასობრივად მზადდება კერამიკული ბლოკები შვიდი პირობითი აგურის მოცულობით.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშენებლობის საქმე. ტრესტის კოლექტივმა 1954-1958 წლებში საექსპლოატაციოდ გადასცა ამერკავკასიის ა. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ორი ბრძმედი, ორი მარტენის ღუმელი, სამი ლითონის სგლინავი დგანი, თბოელექტროცენტრალის ორი ქვაბი, ტურბინგენერატორი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ორი ახალი სამქროს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მძლავრი გამამდიდრებელი ფაბრიკა, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რუსთავის ცემენტის ქარხანა და სხვა ობიექტები. ამავე პერიოდში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 578 საცხოვრებელი სახლი 194.871 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

მნიშვნელოვნად შემცირდა საწარმოო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადები. დადგენილ ვადაზე ადრე გადაეცა ექსპლოატაციოდ ამიერკავკასიის ა. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედი, რუსთავის ცემენტის ქარხანა. 1954 წელს 2-3-სართულიანი სახლის მშენებლობას 7-9 თვე სჭირდებოდა, ახლა ასეთ სახლებს 4-6 თვეში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში 2-3 თვეში ვაშენებთ.

მომავალ სუმგაითის მშენებლებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ამიერკავკასიის მეტალურგმშენის კოლექტივი კვლავაც ენერგიულად იბრძოლებს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის, ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს კალატოზები ა. წიკლაური (მარცხნივ) და შ. ივანაძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 160-170 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

მშენებლების მუშაობა—ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე

ე. ჯაფარიძე,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-ტატანსპორტო განყოფილების გამგე.

წელს საბჭოთა ქვეყნის მშენებლების სახელოვანი არმია უმაგალითო შრომითი აღმავლობით აღნიშნავს თავის ტრადიციულ დღესასწაულს — მშენებლის დღეს, რომლის დაწესებაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მშენებლებისადმი—ჩვენი მუშათა კლასის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი რაზმისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ყურადღებასა და ზრუნვას.

არც ერთი ქვეყნის ისტორიამ არ იცის მშენებლობის ისეთი გიგანტური მასშტაბები და გეგმაშეზომილი გაქანება, როგორიც კომუნიზმის მშენებელ ჩვენს ქვეყანაშია. ვერც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ვერ დაიკვეხნიან ისეთი დიდი, ისტორიული, მართლაც საყოველთაოსახალხო მნიშვნელობის ამოცანის დასახვას და შესრულების უზრუნველყოფას, როგორიც ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ დაუსახეს საბჭოთა მშენებლებს. და არა მარტო დაუსახეს, არამედ ამასთან ყველა პირობაც შეუქმნეს იმისათვის, რომ შეასრულონ ისტორიული ამოცანა — უახლოესი 10-12 წლის განმავლობაში აღმოფხვრან ბინების ნაკლებობა სოფლად და ქალაქად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტატისტიკური სამმართველოს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ სრული სიცხადით ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა მშენებლები პირნათლად ანაღდებენ პარტიისა და მთავრობის ამ დავალებას, წარმატებით ასრულებენ საბინაო მშენებლობის დიად პროგრამას.

მნიშვნელოვანი მოღწევებით შეხვდნენ თავიანთ დღესასწაულს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებიც. საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებმა 101 პროცენტით შეასრულეს საბინაო მშენებლობის 6 თვის გეგმა და საექსპლოატაციოდ გადასცეს 112 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაცემულ საცხოვრებელ ფართობს 27 პროცენტით აღემატება.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ წელს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებმა საერთოდ, ზოგმა კოლექტივმა კი განსაკუთრებით, შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა, აამაღლეს მშენებლობის ხარისხი, ფართოდ გაიაზეს ბრძოლა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწია ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის კოლექტივმა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა აქ 126 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ახალი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის იმავე პერიოდის დავალება — 110 პროცენტით.

საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა მთავართბილისმშენმა, რომელმაც 6 თვეში საექსპლოატაციოდ გადასცა 18.821 კვადრატული მეტრი ფართობი, ანუ 3,5 პროცენტით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა, და ამასთან საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დავალება 4,2 პროცენტის გადამეტებით გაანაღდა.

ასევე წარმატებით გაართვეს თავი ნახევარი წლის დავალებათა შესრულებას ლენინის ორდენოსანი ტრესტის — საქჰიდროენერგომშენის მშენებლებმა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა მათ 104,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემისა — 111 პროცენტით.

გაკილებით უკეთესად მუშაობენ წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებიც, რომლებმაც უზრუნველყვეს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის დავალებების 101,6 პროცენტით შესრულება. ამასთან აღნიშნული სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა წელს 6 თვეში საექსპლოატაციოდ გადასცეს 39.880 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. 31 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წლის შესაბამის პერიოდში.

ჩვენს მშენებლებს თვალსაჩინო მიღწევები აქვთ, წინსვლა ეთუოდ არის. ეს მისასალმებელია, მაგრამ მშენებლებს არ აძლევს იმის საბაბს, რომ თვითკმაყოფილებას მიეცნენ. პირიქით, მათი ვალია კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი ენერგიით გამოიყენონ ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი და კიდევ უფრო სწრაფად დაძრან წინ მშენებლობის საქმე, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ მშენებელთა კოლექტივების მუშაობა. ამაში მათ მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა საბჭოთა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მთავარი, რაც განაპირობებს მშენებლობის სწრაფ განვითარებას, სწრაფად, მყარად, იაფად მშენებლობას, არის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფა. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი მშენებლობის ტემპის დაჩქარებასაც და მშენებლობის გაიაფებასაც.

1954 წლამდე რესპუბლიკის მშენებლები ასაწყობ რკინაბეტონს იშვიათად იყენებდნენ. ახლა კი თითქმის არ არის ისეთი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც რკინაბეტონის კონსტრუქციებს არ იყენებდეს სართულთაშორის გადასახურავად, ტიხრების საკეთებლად და ა. შ. რესპუბლიკის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებმა რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და საქარხნო წესით დამზადებული სამშენებლო დეტალების გამოყენების ხვედრითი წონა ყოველი ერთი მილიონი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე უკვე აიყვანეს 170-180 კუბმეტრამდე. ახლა ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს ამზადებენ არა მარტო თბილისში მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციები, არამედ ჭუთაისის, სოხუმის, გორის და მთელი რიგი სხვა ქალაქების სამშენებლო ორგანიზაციებიც. მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა დაამზადეს და გამოუშვეს 30 ათას კუბმეტრზე მეტი რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, მთავართბილისმშენის ინდუსტრიულმა საწარმოებმა — 18 ათას კუბმეტრზე მეტი და ა. შ.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშენებლები ფართოდ და მასობრივად იყენებენ აგურისა და წიდაბეტონის მსხვილ საკედლე ბლოკებს, აგრეთვე პემზაბეტონის ბლოკებს. შარშან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტმა — ამიერკავკასიის მეტალურგმშენმა რუსთავში ასეთი მსხვილი საკედლე ბლოკებისაგან 10.500 კვადრატული მეტრის საერთო ფართობის შემცველი 12 საცხოვრებელი სახლი ააშენა. მთავართბილისმშენმა კი თბილისში იმავე 1957 წლის განმავლობაში პემზაბეტონის მსხვილი საკედლე ბლოკებისაგან 5 მრავალსართულიანი სახლი ააგო.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, რესპუბლიკაში მშენებლობის განვითარებას მაინც მნიშვნელოვნად აფერხებს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების სიმძლავრეთა არასაკმარისობა. ამიტომ სამშენებლო ორგანიზაციებმა ახლა ძირითადი ყურადღება ამ „ვიწრო ადგილის“ გადალახვისაკენ უნდა წარმართონ. საჭიროა მივაღწიოთ რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და სამშენებლო დეტალების წარმოების მოცულობის და ნომენკლატურის გაფართოებას, ამ ნაწარმით მშენებლების მთელი მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას.

ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და სამშენებლო დეტალების გამოშვების გაფართოებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ მთავრობის დადგენილებით საბინაო-სამშენებლო და საგარაჯო-სამშენებლო კოოპერაციული ამხანაგობების დაკვეთით ინდივიდუალური საცხოვრებელი და საგარაჯო სახლების მშენებლობის წარმოება ეკისრებათ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებს, ამ სამუშაოთა შესრულება გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო გეგმით. მაშასადამე, ამიერიდან ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო-ინდუსტრიულმა ბაზებმა სამშენებლო კონსტრუქციები და დეტალები უნდა გამოუშვან იმ ანგარიშით, რომ სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას არა მარტო სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის, არამედ კოოპერაციული მშენებლობის მთელი მოთხოვნილებაც.

ზოგი რამ ამ მხრივ უკვე კეთდება. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ამჟამად უკვე ამთავრებს მძლავრი მექანიზებული კარიერის მშენებლობას ჩოლაბურში (ზესტაფონის რაიონი), საიდანაც მშენებლები მიიღებენ მათთვის მეტად საჭირო კვარცის ქვიშას. ჭუთაისში დაწყებულია მუშაობა პარკეტის გამომშვები ახალი საწარმოს მოსაწყობად, ბათუმსა და სოხუმში აშენებენ ხე-ტყის მასალის გადამამუშავებელ ქარხნებს, აწყობენ ახალ პოლიგონებს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების გამოშვების გასაძლიერებლად. დიდ მუშაობას ეწევა მთავართბილისმშენის კოლექტივიც თავისი ინდუსტრიული ბაზების ხიმძლავრეთა გასაადიდებლად.

საქართველოს მშენებლებს ბევრი მოსაწესრიგებელი საქმე აქვთ.

მათზე, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულების ბედი. ისინი მოვალენი არიან გაბედულად და ფართოდ დანერგონ მშენებლობაში ახალი, უფრო რაციონალური და ბევრად ეკონომიური სამშენებლო კონსტრუქციები, დეტალები, უკეთესად მოაწყონ მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია, გამოიყენონ სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების ყველა შესაძლებლობა. უნდა გვახსოვდეს, რომ საბინაო მშენებლობის იმ დიდი პროგრამის შესრულება, რომელიც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მშენებლებს დაუსახეს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობის უახლოესი 10-12 წლის განმავლობაში აღმოსაფხვრელად, გარდუვალად მოითხოვს არა მარტო სახელმწიფო ასიგნობათა გადიდებას, არამედ აგრეთვე მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას.

დავაჩქაროთ მშენებლობის ტემპი, ვაშენოთ მაღალხარისხოვნად, იაფად, სწრაფად ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ქიმიური და ელექტროტექნიკური საწარმოები, საცხოვრებელ სახლთა კვარტალები და უბნები, ხელი შევუწყოთ საბჭოთა ადამიანების კულტურულ-ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას — ასეთია საბჭოთა მშენებლების საბრძოლო ამოცანა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲒᲖᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

საოლქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში ახალგაზრდობის რაიონული შეკრება მიმდინარეობდა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და სოფლის მოწინავე ახალგაზრდები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას. კომკავშირის რაიკომის მდივანმა ნ. ძუგაევმა დამსწრეთ მოუთხრო იმ შრომითს აღმავლობაზე, რომელიც ახლა სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებშია.

შეკრებაზე მოყვანილი ციფრები და მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას და აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ შრომაში. რაიონის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ახალგაზრდობა საქმიან მონაწილეობას იღებდეს სამეურნეო-პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში.

პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა შარშან განიხილა საკითხი მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ. ამ საკითხზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა. გადაწყდა კოლმეურნეობებში შეიქმნას საკვებმომპოვებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. პლენუმის შემდეგ გაწეული ორგანიზატორული მუშაობის შედეგად შეიქმნა საკვებმომპოვებელთა 32 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი, რომლებმაც ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სიმინდის ნათესების მოვლას, თივის აღებას, სილოსის დამზადებას, საკვებ ძირხვენთა ნათესების დამუშავებას. მოკლე ხანში ახალგაზრდობის ძალებით 6 ათასი ტონა სილოსი დამზადდა.

ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც მოსავლელად 11 ჰექტარი სიმინდი მიუჩინეს, სათავეში ჩაუდგა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ვ. ფუხაევი. ბეჯითი შრომის შედეგად ერედველმა ახალგაზრდებმა საშუალოდ ერთ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ასევე ბეჯითად მუშაობენ ისინი წელსაც.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს საკოლმეურნეო წარმოების სხვა უბნებზეც. ისინი სამუშაოდ წავიდნენ მეცხოველეობის ფერმებში, მემინდვრეობისა და მებაღეობა-მევენახეობის ბრიგადებში. სტალინირის რაიონში დღეისათვის 200-მდე ახალგაზრდა მწველავია, რომლებიც წარმატებით ანაღდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა მექანიზატორებთან. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ კოლმეურნეობებს დაუბრუნდა 50-მდე ახალგაზრდა მექანიზატორი, რომელთა უმრავლესობა სატრაქტორო ბრიგადებს ხელმძღვანელობს. არგვეცის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში კომკავშირელებმა შექმნეს მექანიზატორთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც ნაყოფიერად იყენებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ამ ბრიგადის მექანიზატორები ბ. ხუბაევი, ა. ლაფაჩი დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ძარწემის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მხოლოდ ახალგაზრდები მუშაობენ. აქ კომკავშირელი დარიკო გოგიძე საუკეთესო მწველავად ითვლება. წელს მან თვითეული ძროხის წველადობა 200 ლიტრით გაზარდა. ძარწემის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ოპერატიულად ხელმძღვანელობს და წარმართავს ახალგაზრდობის საქმიანობას. სოფელში ისე არ მოეწყობა ახალგაზრდობის რომელიმე ღონისძიება, რომ მას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. გუნდიშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი დ. მეტრეველი არ დაესწრონ. პარტიული ორგანიზაცია კომკავშირელების წინაშე აყენებს მომწიფებულ, კონკრეტულ ამოცანებს და ეხმარება მათ ამ საკითხების გადაჭრაში. ძარწემელებს მესამე წელია მტკიცედ უპყრიათ საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მათ მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მოიპოვეს.

რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციაში სამი ათასამდე ახალგაზრდაა გაერთიანებული. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მათ შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ახალგაზრდა მწველავები, მეფრინველეები და მეღორეები თავდადებით იბრძვიან ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის. შეჯიბრებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საკოლმეურნეო წარმოების ღრმად შესწავლის მიზნით ზამთრის პერიოდში ნაყოფიერად მუშაობდნენ ზოოტექნიკური და აგროტექნიკური კურსები, რომელთა დიდი ნაწილი კომკავშირელების ინიციატივით ჩამოყალიბდა. კომკავშირელები ღრმად სწავლობენ იმას, თუ როგორ გაზარდონ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ხორცისა და რძის წარმოება.

სტალინირის რაიონი წარმატებით ასრულებს წველადობის დავალებას. ამაში მცირე როდია სტალინირელი ახალგაზრდების წვლილი. თავიანთი საწარმოო მაჩვენებლების გადიდებისათვის ისინი უნარიანად იყენებენ ნოვატორ კოლმეურნეთა გამოცდილებას. კომკავშირელები აწყობენ ექსკურსიებს მოწინავე კოლმეურნეობებში. იკითხება ლექციები და მოხსენებები ნოვატორთა პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ კომკავშირელები დაწვრილებით გაეცნენ სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაობას. შეისწავლეს აგრეთვე ძარწემელ კოლმეურნეთა მიღწევები მარცვლეული კულტურების დარგში. ამას გარდა მოწინავე გამოცდილების შესწავლის მიზნით ისინი იყვნენ სოფლების დმენისის, ქსუისის და არცევის მებაღეებთან.

პარტიული ორგანიზაციები მხარს უჭერენ ახალგაზრდების თაოსნობასა და ინიციატივას. ამას წინათ კეხვის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ, ხოლო შემდეგ პარტიის სტალინირის რაიკომმა მოიწონეს კეხველი ახალგაზრდების თაოსნობა მშობლიური სოფლის კეთილმოწყობისათვის. კეხველმა ახალგაზრდებმა მოკირწყლეს სოფლის ქუჩები, საშუალო სკოლისათვის ააშენეს სახელოსნო, შეუდგნენ აბანოს მშენებლობას, გაამწვანეს სოფლის უბნები. მათ ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციებს მიმართეს მოწოდებით ეზრუნათ მშობლიური სოფლის კეთილმოწყობისათვის. კეხველებს ფართოდ გამოუხმაურნენ დმენისელი, ზონკარელი, ქერელი ახალგაზრდები. ქერელმა და ზონკარელმა ახალგაზრდებმა თავიანთი ძალებით უკვე ააგეს წყალსადენი, ხოლო დმენისში აშენდა აბანო.

რამდენიმე წელია ძარწემელი ახალგაზრდები სათავეში უდგანან ტყე-ბაღების გაშენებას. შარშან სოფელმა რამდენიმე ტონა ვაშლი და მსხალი მიიღო ტყეში დამყნობილი ხეხილიდან. ამ მეტად სასარგებლო საქმეს ხელი მოჰკიდეს ვანათელმა და სარბუკელმა ახალგაზრდებმაც. ამჟამად 8 კოლმეურნეობას აქვს ტყე-ბაღი.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობაში პოლიტიკურ მუშაობას. პარტიის სტალინირის რაიკომი ყოველთვიურად ამტკიცებს ლექციების თემატიკას ახალგაზრდებისათვის. სასკოლო და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკური მოხსენებებით ხშირად გამოდიან პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანი ვ. სანაკოევი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ჯუსოევი, რაიონის პროკურორი ს. მარგიევი, რაიკომის ინსტრუქტორები რ. მიდოდაშვილი, ი. ბეკოევი და სხვები. ლექციურ მუშაობას ეწევიან აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად ახალგაზრდობაში შემცირდა საზოგადოებრივი წესების დარღვევის ფაქტები.

მაგრამ ხულიგნობის, სამუშაოსათვის თავის არიდების ფაქტებს ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგიერთ კოლმეურნეობაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიის სტალინირის რაიკომი, ისევე როგორც თვით კომკავშირის რაიკომი, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაშორებული სოფლების კომკავშირულ ორგანიზაციებს. სოფელ შრომის კოლმეურნეობაში კომკავშირელთა დიდი ნაწილი სამუშაოდ არ გამოდის. ასევეა მის მეზობელ ივრეთის კოლმეურნეობაში. შრომასა და ივრეთში კომკავშირის რაიკომის მუშაკები იშვიათი სტუმრები არიან. ახალგაზრდობასთან სუსტად მუშაობენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებიც.

ეს ნაკლოვანებანი უნდა გამოსწორდეს. მიღწეულ უნდა იქნას ის, რომ კომკავშირი ნამდვილად წარმოადგენდეს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მებრძოლ თანაშემწეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის პიონერებმა აიღეს შეფობა თავისი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებზე. ხურათზე: ნორჩი მეცხოველეები ც. ბალუხაშვილი და ე. რუხაძე უვლიან სოფელ ჩუმლაყის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბბოებს.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮ. Ვ. Პ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡ

სამ კვირაზე მეტ ხანს ჩეხოსლოვაკიაში დიდი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ხალხური ცეკვის შესანიშნავი სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ამხ. ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. თავიანთი შესანიშნავი ხელოვნებით და საზოგადოებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით ანსამბლის წევრებმა ჩვენი ქვეყნის ათეულ ათასობით მაყურებელთა სიყვარული მოიხვეჭეს და ამრიგად ხელი შეუწყეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, მადლობა ანსამბლის ჩვენში ჩამოსვლის განხორციელებისათვის და ჩემი ამხანაგური სალამი.

ᲕᲐᲪᲚᲐᲕ ᲙᲝᲙᲔᲪᲙᲘ.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

★

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲚᲘᲙᲝ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ)

★

ჩვენი ანსამბლი თავისი არსებობის მანძილზე, — განაცხადა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის laureატმა ილიკო სუხიშვილმა, — მეორედ იმყოფებოდა საგასტროლოდ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. პირველად იქ ქართველმა მოცეკვავეებმა ორმოცი დღე დავყავით და ოცდაათი კონცერტი გავმართეთ. ეს იყო 1952 წელს.

როგორც ცნობილია, წელს ლიტერატურულმა სააგენტომ „პაორე სორია ლომბროზომ“ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი საგასტროლოდ მიიწვია იტალიაში. იტალიაში გამგზავრებისას გზად პრაღაში შევჩერდით. აეროდრომზე ჩვენთან მოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა ამ მეგობრულ დამოკიდებულებას ორ ხალხს შორის.

გასტროლების დამთავრების შემდეგ მიგვიღეს ჩეხოსლოვაკიის კულტურის სამინისტროში. მიღებას ესწრებოდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი ვაცლავ კოპეცკი. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, საქართველოში ისე გულთბილად, ძმურად მიგვიღეს, რომ ასეთი რამ ჯერ არ გვინახავს და ამას არასოდეს არ დავივიწყებთო.

უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, — განაცხადა საუბრის დასასრულს ილიკო სუხიშვილმა,—რომ ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებში, როგორც არის ბრატისლავა, ბრნო, კარლოვი ვარი, კოშიცე, პერშოვო, იაბლონეცი და სხვები, ჩვენი კონცერტები იმართებოდა ღია ესტრადებზე, სტადიონებზე და მათ ესწრებოდა რვა ათასიდან ოცი ათასამდე მაყურებელი. კონცერტების დამთავრების შემდეგ ძვირფას საჩუქრებს ვიღებდით. ხალხი რამდენიმე წუთის განმავლობაში გვიკრავდა ტაშს, გაიძახოდა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“. ეს ჩეხოსლოვაკი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობის ნამდვილი გამოხატულება იყო. ბედნიერი ვართ, მცირედი წვლილი ჩვენც რომ შევიტანეთ ხალხთა მეგობრობის დიად საქმეში.

ქუთაისის წყალთა მეურნეობის სამმართველომ წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობაში ააგო მექანიკური საწვიმარი, სიხტემა, რომელიც რწყავს 1,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. ხურათზე: ქუთაისის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი გ. ჩიჭავაძე, სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჩავჩიძე და ხამუშაოთა მწარმოებელი გ. ბერეკაშვილი ამოწმებენ წყალსაჭაჭი სადგურს მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ.

ფოტო ქ. ჩარგეიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ—ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲡ!

არაბული ცა შავ ყორანთა ფრთებმა მონისლა,
ზღვით და ჰაერით წამოვიდა ჩრდილი ომისა.
ჰე, არაბეთო, გედგა მძიმე მონობის ღამე,
შენს ზურგზე ჰქროდა კანდამწველი, მოქნილი სახრე,
შენს გულს სწამლავდა დამპყრობელთა გესლი და შხამი,
შავი სიკვდილი თავს დაჰყეფდა ბაღებს და სახლებს.

ჩამოჰკრა ქამმა, ხმა გაისმა ბორკილთა მსხვრევის
და შენი მზერა მიაპყარი სიმართლის დროშას,
შენ საკუთარი ძალა იგრძენ, მტარვალთა მძლეავი,
აღსდექი, შეხვდი ახალ ბრძოლის სანატრელ დრო-ქამს.

...შენს შეჩერებას კვლავ ლამობენ გადამთიელნი,
პატარა ლიბანს დიდი სვავი დააცხრა ხარბად,
ცაში სიკვდილის შავმა ჩრდილმა ისევ იელვა,
ცხელი ხმელეთი სისხლითა და ცრემლებით დალბა.

უოლსტრიტელო, გულად გიდევს რკინის ნაჭერი,
და ცივ სახეზე თვალთა ნაცვლად დოლარი ელავს,
შენ უცოდველი ხალხის სისხლით ისე დათვერი,
რომ აწ შენს სინდისს ვერ გარეცხავს მდინარის დენაც.

ზღვით და ჰაერით წამოსულხარ ჩრდილად ომისა,
მაგრამ არაბულ მიწას ბნელით ვეღარ მონისლავ.
მზეს მონატრული ხალხის ბრძოლის ზარმა დარეკა,
დღეს თქვენდა სამტროდ ისტორიის ტრიალებს ჩარხი,
აღდგა არაბი შავ ღრუბელთა გადასარეკად,
მებრძოლ არაბეთს მხარში უდგას მსოფლიოს ხალხი.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ნიკოლოზ ჩაჩავა — „სადაც ვშობილვარ“. ლექსების კრებული. რედაქტორი ი. ნონეშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი, 1958 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 152, ფასი 3 მან. 90 კაპ.

• • •

კარპე მუმლაძე — „მეფოლადის სიყვარული“. ნარკვევების წიგნი. რედაქტორი ლ. კალანდაძე. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი, 1958 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 124, ფასი 1 მან. 50 კაპ.

• • •

ვლადიმერ გელაშვილი — „მთები და ადამიანები“. ლექსების კრებული. რედაქტორი ი. თედიაშვილი. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა. სტალინირი, 1958 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 96, ფასი 2 მან. 70 კაპ.

მეტი მზრუნველობა მატერიალური კულტურის ძეგლებს

სამ ათეულ წელზე მეტია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ემსახურება მის წინაშე მდგომ საპატიო ამოცანას. მუზეუმში თავმოყრილია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის ძვირფასი ძეგლები, არქეოლოგიური კოლექციები, ეთნოგრაფიული ნივთები, უნიკალური ქართული და უცხოური მონეტები, ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის უძველესი ნიმუშები, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ავტოგრაფები, სიგელ-გუჯრები, ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშები, ხელნაწერი საბუთები, ფრესკები და სხვ.

მუზეუმში დაცულია გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა — კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი ზდანოვიჩის, დავით მესხის, გაბრიელ ქიქოძის, დიმიტრი ნაბარეშვილის, ალექსანდრე გარსევანიშვილის პირადი არქივები, რომლებშიც ინახება ძვირფასი მასალები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შესახებ.

ხელნაწერთა ფონდში ინახება გელათის ცნობილი ხელნაწერი წიგნები, მათ შორის იოანე ქსიფილინოსის ხუთტომიანი კრებული, მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი. ასევე ფრიად საყურადღებოა XI საუკუნის სახარება, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, „ვეფხისტყაოსნის“ 10 ვარიანტის შემცველი ხელნაწერი და XI-XVIII საუკუნეების მრავალი საერო და სასულიერო შინაარსის ხელნაწერი წიგნი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ჭედვითი ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს V საუკუნის წარწერიანი ხატი („სანდუხტის“), XI საუკუნის დროშა-ჯვარი, ვარდან დადიანისეული ოქროს პატარა ხატი (XIII ს.) და სხვა. მუზეუმი მდიდარია ნუმიზმატიკური კოლექციებით, ბევრი მათგანი, როგორიც არის დრაჰმა, თამარის, ლაშა გიორგის და სხვა მონეტები, უნიკუმებად არის ცნობილი. წელს ნუმიზმატიკის მრავალრიცხოვან კოლექციას შეემატა მეცნიერი მუშაკის ი. ფუტკარაძის მიერ სოფელ დღნორისაში (ქუთაისის რაიონი) ნაპოვნი უძველესი კოლხური მონეტების (80 ერთეული) ახალი განძი, რომელიც მიეკუთვნება IV-II საუკუნეებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცულია ბიბლიოგრაფიული იშვიათობად ცნობილი შრომავლი წიგნნი, ჟურნალი და გაზეთი. მუზეუმში მოწყობილია რევოლუციამდელი პერიოდის ფონდების გამოფენა და ისტორიის საბჭოთა პერიოდის ეექსპოზიცია. რევოლუციამდელი პერიოდის ფონდების გამოფენაში ყურადღებას იპყრობს სოლომონ პირველის დროინდელი იმერეთის სამეფო დროშა, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს სოლომონ პირველის მიერ ხელში ჩაგდებული ორი ზარბაზანი წარწერით, დადიანისეული გორდის სასახლის საათი-მაკეტი, სოფელ ქორეის-უბნიდან (სამტრედიის რაიონი) ეკლესიის ვაზის ხის ჩუქურთმიანი კარი, ქართველი მეომრის ჩაცმულობიდან ჩაჩანი და მუზარადი ჯაჭვით და სხვ.

საბჭოთა პერიოდის სტაციონარული ექსპოზიციიდან ყურადღებას იპყრობს გამოფენა თემაზე „ქუთაისი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში“. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით მოხდა სტაციონარული გამოფენის რეექსპოზიცია. გამოფენა შეიცავს თბილისის პარტიულ და ისტორიულ არქივებში გამოვლენილი ქალაქ ქუთაისის რევოლუციური წარსულის ამსახველი, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებითა და ფოტოსურათებით. აქვეა წარმოდგენილი ქუთაისში მენშევიკების მხეცური მოქმედების დამამტკიცებელი მასალები. ტოვებდნენ რა ქუთაისს, მენშევიკმა ავაზაკებმა ქურდულად გამოიყვანეს ქუთაისის ციხიდან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის შეუდრეკელი მებრძოლნი პ. ი. მარდალეიშვილი და ნ. ვ. ივანოვი, საშინლად აწამეს და დაწვეს ისინი საღორიის ტყეში. გამოფენაში წარმოდგენილია მათი მოკლე ბიოგრაფიები და პორტრეტები.

უნდა აღინიშნოს ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის სიამაყის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების შესანიშნავი ინიციატივა. მათ დაამზადეს და მიმდინარე წლის მაისში მუზეუმს უფასოდ გადმოსცეს ქარხნის ტექნოლოგიური პროცესების ამსახველი სტენდი: დიაგრამები, მხატვრული სქემებით, სხვადასხვა მარკის მანქანების ამსახველი ნიმუშებით, მოწინავე ადამიანების ფოტოსურათებით და 100-მდე სხვა ძვირფასი ექსპონატით.

მუზეუმმა ქუთაისის რაიონის სოფლების გეგუთისა და ტყაჩირის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე მოაწყო კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც შეისწავლა 1917-1921 წლების რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეთა ბიოგრაფიები, საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორია, ხალხში გაბნეული ისტორიული გადმოცემები, ლეგენდები და ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები. ექსპედიციამ ძველი და ახალი ყოფის დამახასიათებელი ნივთიერი მასალების შეგროვებით გაამდიდრა მუზეუმის ფონდები.

1957-1958 წლებში მუზეუმს შეემატა მეტად ძვირფასი ექსპონატები და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, მასალები, რომლებიც შეიხეპა ქუთაისის ყოფილი გუბერნიისა და მაზრის ისტორიას. შეძენილ იქნა აგრეთვე XII საუკუნის ქართული საერო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის — გიგუთის ციხედარაზის მაკეტი (შესრულებული მოქანდაკე დ. კიკაბაძის მიერ, არქიტექტორ ვ. ცინცაძის პროექტით), სამოქალაქო ობის ლეგენდარული გმირის ვასილ ისედორეს-ძის კიკვიძის ქანდაკება (მოქანდაკე გ. ჩხეიძე), მხატვრული სურათი „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ საღამოზე ქუთაისში“ (მხატვარი ს. ჩოგოვაძე) და სხვ.

მუზეუმი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. გამოიცა მუზეუმის მეცნიერი მუშაკის მ. ნიკოლეიშვილის ნაშრომი „სამტრედიის ისტორიიდან“ და გელათის ისტორიული ძეგლების „გზამკვლევი“ რუსულ და ქართულ ენებზე, რომელთა გამოცემის საქმეში დიდი დახმარება გაგიწია კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ. უკვე მზად არის და მალე გამოვა მუზეუმში დაცული „ხელნაწერი წიგნების აღწერილობის“ მეორე ტომი, და ნაშრომი „ეფრემ მცირე, როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი“.

მუზეუმში მოწყობილი გამოფენა და გელათის ისტორიული ძეგლები 1957-1958 წლებში დაათვალიერა 39 ათასზე მეტმა კაცმა. აქ იყვნენ სტუმრები საზღვარგარეთიდანაც: რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის, იუგოსლავიის, ინგლისის, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტები.

სერიოზული ყურადღება ექცევა ფონდების დაცვასა და მოვლას. 1957-1958 წლებში „ვუმკურნალეთ“: 1.043 ხელნაწერსა და ძველ სტამბის წიგნს, 2.410 სიგელ-გუჯარს, 680 ხისნაწილებიან ექსპონატს. რესტავრირებულია სოლომონ პირველის დროინდელი იმერეთის სამეფო დროშა და ა. შ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მუზეუმში დაცული საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივების შესწავლისა და მეცნიერულად დამუშავებისათვის.

მუზეუმს მჭიდრო კავშირი აქვს ქუთაისის ალ. წულუკიძეს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან, რომელთა მეცნიერი მუშაკები მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ.

ამჟამად მუზეუმის მეცნიერი მუშაკთა ჯგუფი დოკენტ კ. მეძველიას ხელმძღვანელობით ხერიოზულ მუშაობას იწარმოებს მწერალ კ. ლორთქიფანიძის წერილების, შრომებისა და მასალების შეკრების, დამუშავებისა და გამოცემისათვის.

ორიოდე შენიშვნა მუზეუმის შენობის შესახებ. მუზეუმის ფონდების მოვლა-პატრონობა და დაცვა დიდად არის დამოკიდებული ბინის ფართობსა და მის ვარგისიანობაზე. ხოლო შენობა, რომელშიც მოთავსებულია მუზეუმი, ფართობის სიგიწროვის და სინესტის გამო მუშაობის ნორმალურად წარმართვის საშუალებას არ იძლევა. გამოფენაზე რომ არფერი ვთქვათ, ბინის უვარგისობის გამო ჩვენ საშვალება არა გვაქვს დავიცვათ მუზეუმის ქონება დაზიანებისაგან. მუზეუმს არ გააჩნია ოთახები მეცნიერ-მუშაკთა მუშაობისა და ლაბორატორიისათვის. ქუთაისის მუზეუმისათვის შენობის მშენებლობის საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1954 წელს დააყენეს (განმეორებით) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომელმაც დაავალა შესაბამის საპროექტო ორგანიზაციას შეიდგინა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალი შენობის პროექტი. მაგრამ ამის შემდეგ ამ საკითხისადმი ყურადღება შენელდა და პრაქტიკული ნაბიჯიც არ გადადგმულა. იმედია, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო დროულად დააყენებს საკითხს ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა გათვალისწინებულ იქნას ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის ახალი შენობის აგება.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ გელათის ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და შეკეთების საქმესაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. აკადემიისა და სამრეკლოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ერთი წელია, რაც დაზიანდა წყალსადენის მილები და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია სამშენებლო ტრესტთან (უფროსი ამხ. მორეტი, სამუშაოს შემსრულებელი ამხ. ტატუნაშვილი), წყალსადენის კაპიტალური შეკეთება ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს გელათის ისტორიული ძეგლებისადმი.

მუზეუმის კოლექტივი და სამეცნიერო საბჭო ყველაფერს გააკეთებენ სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ს. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ.
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი.



ხურათზე: ახალი საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობა საბურთალოზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში იხსნება, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის მეთაური ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, დელეგაციის წევრები ვ. ა. ზორინი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ა. ა. სობოლევი — სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

დელეგაციის მრჩევლებად დაინიშნენ ი. ი. ტუგარინოვი, ა. ა. სოლდატოვი, პ. დ. მოროზოვი, მ. ა. ხარლამოვი, დ. ს. სოლოდი, ვ. ფ. გრუბიაკოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ვ. პ. ნადეჟდინი, ა. გ. კოვალიოვი, ი. დ. ნიკულინი.

* * *

9 აგვისტოს დილით ნიუ-იორკს გაფრინდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე

9 აგვისტოს დილით ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე გაფრინდა უკრაინის სსრ დელეგაცია უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. თ. პალამარჩუკის მეთაურობით.

* * *

9 აგვისტოს დილით ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე გაფრინდა ბელორუსიის სსრ დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ვ. კისელიოვის მეთაურობით.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ 17 საათსა და 15 წუთზე (9 აგვისტოს 0 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით) გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია, მოწვეული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის განსახილველად.

სესია გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა, რომელმაც თავმჯდომარეობა გადასცა გენერალური ასამბლეის წარსული XII მრიგის სესიის თავმჯდომარეს ლ. მუნროს (ახალი ზელანდია).

მუნროს მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის დამტკიცებას. დღის წესრიგი ასამბლეამ დაამტკიცა შემდეგი დაფორმულებით: „საკითხები, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო იხილავდა თავის სხდომაზე 1958 წლის 7 აგვისტოს“.

პირველი გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

ჩინეთის მთავრობის განცხადება

პეკინი, 8 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებას მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია ლიბანიდან შეერთებული შტატების ჯარებისა და ორდანიიდან დიდი ბრიტანეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხის განსახილველად. განცხადებაში, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს-ეს არის გადასცა პრესაში გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, ნათქვამია: ჩინეთის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებას. ამჟამად შეერთებული შტატები და ინგლისი განაგრძობენ თავიანთი შეიარაღებული ძალების გადიდებას და აფართოებენ ლიბანისა და ორდანიის ოკუპირებულ რაიონებს. მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში კვლავ დაძაბულია, საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას ჯერ კიდევ ემუქრება სერიოზული საფრთხე. ჩინეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ უნდა მიიღოს ყოველი შესაძლო ღონისძიება იმისათვის, რომ აიძულონ შეერთებული შტატები და ინგლისი დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი აგრესიული ჯარები ლიბანიდან და ორდანიიდან, რათა აღდგენილ იქნას მშვიდობა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ამერიკელი ჯარისკაცების პატრული ლიბანში — ბეირუთის რაიონში.
ფოტო კეისტონის სააგენტოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ლიბანში და იორდანიაში შექმნილი მდგომარეობის განხილვას იმ პირობით, რომ ამ სესიის გადაწყვეტილებანი არ შეეხებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების გადასხმას ლიბანსა და იორდანიაში.

დიქსონმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილ ფორმულას სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ და მოითხოვა ასამბლეის სესია მოწვეულ იქნას 13 აგვისტოს.

დიქსონი, ისე როგორც ლოჯი, ყოველნაირად ამართლებდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

ერაყის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჯავადმა, რომელმაც მოკლე განცხადება გააკეთა, აღნიშნა, რომ თუმცა უშიშროების საბჭომ დაიწყო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხის განხილვა ლიბანის საჩივრით, ამერიკის ჯარების გადასხმამ ძირეულად შეცვალა ამ საკითხის ხასიათი, ხოლო ინგლისია ჯარების გადასხმამ იორდანიაში უფრო გაართულა შექმნილი კრიზისი. შეიქმნა მდგომარეობა, თქვა მან, რომელიც, უეჭველია, ემუქრება საყოველთაო მშვიდობას. ჯავადმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს არ შესწევს უნარი ბოლო მოუღოს ამ მუქარას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ რეზოლუციის ორიგე პროექტი — საბჭოთა კავშირისაც და ამერიკისაც — ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევას. მაგრამ ასამბლეამ, თქვა მან, უშინაარეს ყოვლისა, უნდა განიხილოს ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის საკითხი. დასასრულ ჯავადმა განაცხადა, რომ იგი მხარს ვერ დაუჭერს რეზოლუციის ამერიკის პროექტს, რამდენადაც გენერალური ასამბლეის მოწვევა იქ მოტივირებულია ლიბანისა და იორდანიის დაუსაბუთებელი სანიერით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხის განხილვა, თქვა მან, ვერ შემოიფარგლება ამ საჩივრების განხილვით.

კანადის წარმომადგენელმა რიტჩიმ მხარი დაუჭირა რეზოლუციის ამერიკის პროექტს და განაცხადა, რომ, როგორც იმედი აქვს, გენერალური ასამბლეის სესიის დროს გამოიძებნება შესაძლებლობა, რათა მოეწყოს დიდი სახელმწიფოების და დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა არაოფიციალური თათბირები, რომლებზეც ნაყოფიერად იქნება განხილული და გადაწყვეტილი ახლო და შუა აღმოსავლეთის პრობლემები მთლიანად.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლუტფიმ მხარი დაუჭირა ერაყის რესპუბლიკის დელეგაციის პოზიციას გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ ახლო და შუა აღმოსავლეთში იმ მდგომარეობის საკითხის განსახილველად, რომელიც შეიქმნა ლიბანში ამერიკის ჯარებისა და იორდანიაში ინგლისის ჯარების შეყვანასთან დაკავშირებით.

შემდეგ შენიშვნები ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა გამოსვლების გამო გააკეთა საბჭოთა წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეზოლუციის ამერიკის პროექტი, იმოწმებს რა ლიბანისა და იორდანიის საჩივრებს, დუმილით უვლის გვერდს მთავარ საკითხს, რომელიც განხილული უნდა იქნას, — ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხს. მან მოითხოვა პრიორიტეტი მიეცეს კენჭისყრისას საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტს.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ჟორჟ-პიკომ (საფრანგეთი) განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხი განხილულ უნდა იქნას დამშვიდებულ ვითარებაში მთავრობათა მეთაურების თათბირზე საბჭოთა მთავრობის პირველი წინადადების შესაბამისად. საფრანგეთის მთავრობას, თქვა მან, მიაჩნია, რომ უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ასეთი თათბირი შესაძლებელი გახდეს. ამასთან ერთად საფრანგეთის დელეგაცია არ ილაშქრებს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის წინააღმდეგ და ხმას მიაცემს რეზოლუციის ამერიკის პროექტს.

საერთო დისკუსიის ბოლოს სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა შეიტანა რეზოლუციის ამერიკის პროექტის შესწორებანი. მან მოითხოვა ამ პროექტიდან გამოირიცხოს პრეამბულის პირველი პარაგრაფი, სადაც ლაპარაკია, რომ უშიშროების საბჭომ „განიხილა ლიბანისა და იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს საჩივარი“. ა. ა. სობოლევმა შეიტანა აგრეთვე შესწორება რეზულტატიურ პარაგრაფში, რომელშიც შესწორებათა შეტანის შემდეგ ნათქვამი იქნება:

უშიშროების საბჭო „ადგენს მოწვეულ იქნას გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების 8-მ(ბ) წესის შესაბამისად“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა გაილაშქრა პირველი შესწორების წინააღმდეგ, მაგრამ მიიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეორე შესწორება.

ამის შემდეგ პანამის წარმომადგენლის წინადადებით საბჭომ გააკეთა მოკლე ხნის შესვენება, რათა დელეგატებს შეესწავლთ საბჭოთა კავშირის შესწორებანი.

შესვენების დამთავრებისთანავე შესწორებათა გამო მცირე დისკუსიის შემდეგ უშიშროების საბჭოს წევრები შეთანხმდნენ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტის შემდეგ დაფორმულებაზე: „უშიშროების საბჭო, განიხილა რა 838 სხდომის დღის წესრიგის 2 და 3 პუნქტები, მიიღო რა მხედველობაში, რომ მუდმივ წევრთა ერთხმივობის უქონლობამ უშიშროების საბჭოს 834 და 837 სხდომებზე ხელი შეუშალა საბჭოს განეხორციელებინა თავისი ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის,

ადგენს მოწვეულ იქნას გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია“.

რეზოლუციის ეს პროექტი საბჭომ ერთხმად მიიღო.

კენჭისყრის შემდეგ გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. სობოლევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არ მოითხოვს თავის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრას. საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი კენჭის საყრელად არ დასმულა. ა. ა. სობოლევმა განაცხადა: „ხმას აძლევდა რა გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევას, საბჭოთა დელეგაციას მხედველობაში ჰქონდა, რომ ამ სესიის მთავარი ამოცანა იქნება მიიღოს ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, რაც გამოწვეულია უმთავრესად ლიბანსა და იორდანიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების შეყვანით“.

საბჭოს სხდომის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ წერილი უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ მოწვეულ იქნას გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია, დღეს ღამით გაეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და რომ გენერალური ასამბლეა შეიკრიბება 8 აგვისტოს 17 საათზე ნიუ-იორკის დროით (24 საათზე მოსკოვის დროით).

რეპორტაჟი

დღეს დელისის ველზე

შენდება ახალი საცხოვრებელი უბანი

—სადღაა დელისის ველი! ალარ არსებობს, სამუდამოდ გაქრა იგი პირისაგან მიწისა!

ასე უპასუხა დელისში შეხვედრილ მეგობარს ინჟინერმა შოთა შალიკაშვილმა—მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა, როცა მისგან გაკვირვების სიტყვები მოისმინა, ნეტავ როდის მოასწარით დელისის ველზე ამდენი სახლების აშენებაო.

ჯერ კიდევ ახლახან, მგონი აპრილის დასაწყისში, იყო აქ ინჟინერ შალიკაშვილის ნაცნობი. შიშველ ველზე ახლად ამოკოჩრილი ბალახი ბიბინებდა, არც ერთი შენობა არ იყო. იქ, სადაც ახლა საავტობუსო დეპოს დიდი კორპუსია ავტობუსების დასაყენებელი ფარდულებით და ჯერ ისევ აუმუშავებელი სახელოსნოების შენობებით, სახელდახელო „სტადიონზე“ საბურთალოელი ბიჭუნები ფეხბურთის გაწამაწაში იყვნენ, არ ჰქონდათ რიდი ფანჯრებისა, არც უფროსების ბუზღუნისა.

თბილისის ახალი, ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბნის სამშენებლო ასპარეზად გადაქცეულა დელისი.

პავლოვის ქუჩის ბოლოს, საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის მეზობლად, ზედ დელისის კარიბჭესთან უკვე ალმართავთ ეკლარის ქვით მოპირკეთებული, მარვალსართულიანი შენობების კვარტალი. ველის შეფერდებაზე, ლისის ტბის გადასახდელიაკენ ბულდოზერებს, ექსკავატორებს, ხკრეპერებს და გრეიდერებს ნაკვეთები მოუსწორებიათ, ადგილი მშენებლებისათვის დაუთმიათ, თვითონ კი მეზობლად გადაუნაცვლებიათ.

გასაშენებლად გათვალისწინებული 13 ახალი საცხოვრებელი კვარტალიდან პირველი კვარტალი 26 მრავალბინიანი სახლის შემადგენლობით უკვე შენდება. ეს მშენებლობა მინდობილი აქვს მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს, რომელმაც, უნდა ითქვას, შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს, სანიმუშოდ მოაწყო მშენებლობა. თვალდათვალ იზრდებიან სართულები, თანდათან უფრო მკაფიოდ ისახება ახალი ქუჩების პერსპექტივა. მშენებლობა წარმატებით ვითარდება, არავითარი შეფერხება არ არის არც საშენი მასალებით მომარაგების მხრივ, არც რაიმე სხვა მიზეზით. მშენებლები უკვე შეუდგნენ ოთხი თვის წინათ დაწყებული ორი 40-ბინიანი სახლის გადაბურვას. ექვს ბინიან სახლზე მთავრდება ზედა სართულების კედლების წყობა. ძირითადად მთავრდება აგრეთვე ერთი საერთო საცხოვრებელი სახლის აგება. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ წელს მობინადრეთა შესასახლებლად გადასცენ სულ 9 სახლი.

დელისელ მშენებელთა გამოცდილება სასარგებლო და მისაბაძია მშენებელთა ყველა იმ კოლექტივისათვის, რომლებიც მასობრივ, კონცენტრირებულ საბინაო მშენებლობას ეწევიან. მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა უბნის ათვისება დაიწყო კომუნიკაციების გაყვანით. დაგეგმეს თუ არა ცალკე სამშენებლო ნაკვეთები, მოხაზეს თუ არა ქუჩების კონტურები, უწინარეს ყოვლისა შეუდგნენ მომავალი ქუჩების ტრასით მისასვლელი გზების გაყვანას, მოაასფალტეს ეს გზები, გაიყვანეს ყოველ სამშენებლო ნაკვეთზე წყალსადენი, ელექტროშუქი, მოაწყეს კანალიზაცია და შემდეგ დაამუშავეს სამშენებლო სამუშაოთა ნაკადური წესით შესრულების გრაფიკი.

გრაფიკი მშენებლებს კანონად აქვთ მიჩნეული. თუ იგი ვინმემ დაარღვია, ბევრ უსიამოვნებას გადაეყრება, და ამიტომ ყველა მონდომებულია გრაფიკის ზუსტად შესრულებაში არ ჩამორჩეს. მშენებლების მკაფიო, ზუსტად განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვამ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შეუფერებლობამ განაპირობა გაცდენების აღმოფხვრა, შრომის ნაყოფიერებისა და მუშათა გამომუშავების ზრდა, გააძლიერა მშენებლებში შრომის შემდგომი გაუმჯობესების ხალისი და უზრუნველყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა რიტმული. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ აპრილიდან აგვისტამდე (4 თვეში) დელისელმა მშენებლებმა 7 თვის გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულეს.

საინტერესო დეტალი: ამას წინათ, როცა დიდი საცხოვრებელი სახლების საფუძვლისათვის ტრანშეებს თხრიდნენ, ექსკავატორი წაწყდა საგრძნობ სიღრმეზე ჩამარხულ ძველისძველ ქვევრს. ქვევრში ადამიანის ძვლები, აგრეთვე ბრინჯაოს სამკაულები აღმოჩნდა. ამის შემდეგ მექანიკოვატორეები გაფრთხილდნენ და მარილა, კვლავ წაწყდნენ ასეთივე ქვევრს. გამოუძახეს არქეოლოგებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დელისი შორეულ წარსულშიაც ადამიანს ცხოვრებელ ადგილად ჰქონია შერჩეული, რასაც არა მარტო სამარხების, არამედ საცხოვრებელი კერის აღმოჩენაც ადასტურებს.

დღეს კომუნიზმის მშენებელთა, ჩაქრთველოს, შვილთა სოსხლსავსე შემოქმედებითი შრომის სიხარულით აღსავსე ცხოვრება ბრუნდება დელისში.

დ. ლომთათაძე.

ქართველ მსახიობთა გამოსვლა არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 8 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა მესამე კონცერტი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის მსახიობებისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის მხატვრული ხელმძღვანელობით. ისე როგორც წინა კონცერტებზე, თეატრ „ოპერას“ დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებლებმა დიდი ინტერესით ნახეს ფრაგმენტები ბალეტებიდან „სინათლე“, „გედის ტბა“, „ოტელო“, „დონ კიხოტი“ და სხვ., აგრეთვე ქართული ხალხური ცეკვები. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებს. არგენტინის დედაქალაქის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მსახიობების გამოსვლებს, მაღალ შეფასებას აძლევს მათ ოსტატობას.

საერთაშორისო მატჩი მძლეოსნობაში

მორიგი საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში ამერიკელმა სპორტსმენებმა გამართეს ბუდაპეშტში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მძლეოსნებთან.

ამ ასპარეზობაში გუნდური ჩათვლა არ ხდებოდა. ორივე ქვეყნის სპორტსმენებმა მაღალი შედეგები აჩვენეს. უნგრეთის მძლეოსანმა ი. როკა